

#5, ივლისი, 2007

## იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული  
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია  
სოციალურ სფეროზე ორიენტირებული  
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის  
იურიდიული მომსახურება.

### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების  
მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში  
წარმომადგენლობას  
ადმინისტრაციულ ორგანოებში  
და სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული  
კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)


ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას  
ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში მომუშავე  
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 29  
ივნისს, გაიმართა ასოციაცია „ანტი სტიგმას“ მიერ ორგანიზებული  
აქცია-სპექტაკლი „მხატვრის აჩრდილი“, რომელიც საზოგადოებაში  
არსებულ სტიგმის პრობლემას ასახავს.

სპექტაკლი ერთი მხატვრის ცხოვრების ერთ მონაკვეთს ასახავს.  
მხატვრის ნამუშევრის უარყოფის შემდეგ მისი ცხოვრება და  
ფსიქიკური სამყარო საფრთხის ქვეშ დგება. პიესაში ნათლად ჩანს  
სტიგმის ფსიქოლოგიური მექანიზმი და მისი დაძლევის ერთ-ერთი  
მიმართულება.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

### მხატვრის აჩრდილი

(გაგრძელება)

სპექტაკლი ასოციაცია „ანტი სტიგმა“ მოხალისე მსახიობის ლადო გამსახურდიას სცენარით და რეჟისურით დაიდგა. სპექტაკლი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში მონაწილეობას მსახიობთა შერეული ჯგუფი იღებდა – მოხალისე მსახიობები, მოზრდილები, ფსიქიატრიული პანსიონატის მობინადრენი. ერთობლივი ძალისხმევით მსახიობთა ჯგუფმა დაანახა მაყურებელს რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს, ქცევას, რომელზეც, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლეც იყოს დამოკიდებული.



ასოციაცია „ანტი სტიგმა“ 2001 წლიდან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მუშაობს. „ანტი სტიგმა“ ცდილობს ისეთი გარემო შექმნას, სადაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები არ იქნებიან სტიგმატიზირებული და დისკრიმინირებული. ასოციაცია ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. „ანტი სტიგმამ“ რამდენიმე პროექტი განახორციელა თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელიც დღემდე გრძელდება. ამჟამად ასოციაცია ჰოლანდიურ ფონდ „კორდეიდის“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს – „ჯანმრთელი და ტოლერანტული გარემო გლდანის თემში“. პროექტი მოიცავს შემდეგ აქტივობებს – თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიმდინარეობს არტ-თერაპია, კოგნიტიური თერაპია, მუშაობს ანტი-სტიგმა კლუბი. თემზე დაფუძნებული პროგრამების ფარგლებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის გლდანის თემში

ფუნქციონირებს საკონსულტაციო-პრევენციული ცენტრი.



ასოციაცია ასევე ახორციელებს საკომუნიკაციო-საგანმანათლებლო სასკოლო პროგრამებს გლდანის რაიონში – „განვითარებისა და ტოლერანტობის გაკვეთილებს“. ასევე სატრენინგო პროგრამებს სკოლის ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და მშობლებისათვის, აწყობს ერთობლივ აქციებს მოზარდებისა და ბენეფიციარების მონაწილეობით.

თქვენ ყოველთვის ურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, [სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების](http://www.civilin.org) გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მომზადებულ, ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ



**სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევა**

ვაგრძელებთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგების გამოქვეყნებას.

ელექტრონული გამოცემის წინა ნომრებში შემოგთავაზეთ კვლევაში მონაწილე სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გეოგრაფიული განფენილობა, ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განაწილება ორგანიზაციული განვითარების ჯგუფების მიხედვით.

ამჯერად გთავაზობთ ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განაწილებას ორგანიზაციული განვითარების ქულების მიხედვით.

რესურსები, ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოებაში მიხედვით.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხული ორგანიზაციების განვითარების საშუალო მაჩვენებელი 2.48-ის ტოლია, ანუ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ინდექსია – 2.48.

გამოკითხული ორგანიზაციების განვითარების ინდექსის განაწილება კრიტერიუმების (საქმიანობა, გამოცდილება, მომსახურება, საქმიანობის მართვა,

**საკონკურსო განაცხადი**

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 17 ივლისი, 2007

<http://www.civilin.org/welfare>

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 16 ივნისის #121 დადგენილებით, 1 ივლისიდან გარკვეული ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აგრეთვე სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით სამინისტროს სისტემაში შეიქმნა „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“ და „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“.

### ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

„ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. სააგენტო გარკვეული სახის ურთიერთობებში წარმოადგენს „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლეს. სააგენტოს საქმიანობის მიზანია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის ჯანმრთელობის (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის) და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მომსახურების (საქონლის) შესყიდვა ან/და მომსახურების (საქონლის) დაფინანსების ორგანიზება. სააგენტოს ძირითადი ამოცანებია:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის) და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება;
- სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისთვის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამებში მონაწილე პირებთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება და კონტროლი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე;
- განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობისას თანხების ხარჯვის შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის წარდგენა;
- პროგრამების ინფორმაციული უზრუნველყოფა, კერძოდ, მოსარგებლე ბენეფიციართა აღრიცხვა, გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება და სისტემატიზაცია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის) და სოციალურ სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან

(მათ შორის სადაზღვევო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა;

- კომპეტენციის ვარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- ბენეფიციარების ინფორმირება მასობრივი ინფორმაციისა და საკუთარი ბეჭდვითი საშუალებების გზით.
- სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით საერთაშორისო ან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააგენტოს გააჩნია 11 ტერიტორიული ორგანო, რომლებიც წარმოადგენენ მას საქართველოს შესაბამის რეგიონებში. სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:

- გურიის ფილიალი;
- იმერეთის ფილიალი;
- კახეთის ფილიალი;
- მცხეთა-თიანეთის ფილიალი;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ფილიალი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ფილიალი;
- სამცხე-ჯავახეთის ფილიალი;
- შიდა ქართლის ფილიალი;
- ქვემო ქართლის ფილიალი;
- აჭარის ფილიალი;
- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ფილიალი.

### სოციალური სუბსიდიების სააგენტო

„სოციალური სუბსიდიების სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო ყველა სახის ურთიერთობებში წარმოადგენს „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს“ უფლებამონაცვლეს, ხოლო ნაწილობრივ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლეს. სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა. სააგენტოს ფუნქციებია:

- სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ან განხორციელების ხელშეწყობა;
- ქვეყანაში სიღატაკის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადება, დამტკიცებული პროგრამების განხორციელება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ შექმნა და მისი პერიოდული სრულყოფა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელება;
- მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით დონორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ან ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება;
- სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

მინიჭებული სხვა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელება.

სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. სააგენტო მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და საქართველოს შესაბამის რეგიონებში არსებული ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

### ტრენინგები

#### ტრენინგები სამართლებრივ საკითხებზე

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესებისა და ამ ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი აგრძელებს ტრენინგების ციკლს სამართლებრივ საკითხებზე.

ტრენინგების მიზანია ხელი შეუწყოს სამართლებრივი ცოდნის გაღრმავება-გავრცელებას და ინფორმაცია მიაწოდოს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მათთვის აქტუალურ, საჭირობოტო, საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე, ტრენინგების ციკლი იმითაც არის აქტუალური და საინტერესო, რომ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს თემატიკის არჩევა თავად შეუძლიათ.

თბილისის შემდეგ, 10 ივლისს ქუთაისში, იმერეთის რეგიონში მომუშავე სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გაიმართა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკას: არასამეწარმეო, იურიდიული პირების დაფუძნებისა და რეგისტრაციის, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებს.

ტრენინგებს ესწრებოდნენ – კავშირი „მერმისის“, პედაგოგთა კავშირის „განათლება და სამყაროს“, საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისის“ თერჯოლის ფილიალის, დახმარების საერთაშორისო ფონდის, ინვალიდთა ასოციაციის, საქართველოს ინვალიდთა ფედერაციის „აღორძინება 2002–ის“, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის იმერეთის კომიტეტის, ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის „აპოლონის“, ფონდ

„აფხაზინტერკონტის“ წარმომადგენლები.

ივლისის ბოლოს ტრენინგები გაიმართება გურიის რეგიონში მომუშავე სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

### პრესის მონიტორინგი




#### სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „ცხელი მოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

#### პრესის აქტივობა

ივნისის თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 46 პუბლიკაცია.



- ახალი თაობა
- 24 საათი
- რეზონანსი
- ალია
- სარკე
- კვირის პალიტრა


#### თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას მიეძღვნა 10, ხოლო საქველმოქმედო აქციას 8 პუბლიკაცია, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ საკითხებს – 8

წერილი. სხვადასხვა პროგრამების შესახებ 4 პუბლიკაცია დაიბეჭდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ 9 პუბლიკაცია, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და ქუჩაში მყოფი ბავშვების შესახებ 5 პუბლიკაცია, ხანდაზმულთა შესახებ 2 პუბლიკაცია დაიბეჭდა.

#### ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- ქუჩის ბავშვები
- მზრუნველობამოკლებული
- მაწანწალა
- მიუსაფარი
- ობოლი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული
- გონებაშეზღუდული
- სპეციალური საჭიროების მქონე
- ინვალიდი
- უსინათლო
- ხანდაზმული

#### საკონკურსო განაცხადი

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან, საერთაშორისო ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გულის ქირურგიის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 17 ივლისი, 2007

<http://www.civilin.org/welfare>

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ სფეროზე  
ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების  
პროექტის ფარგლებში, სწავლობს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების  
თანამშრომლობის საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას. ამჯერად გთავაზობთ**

**გერმანიის გამოცდილებას**

გერმანიის კონსტიტუციაში ინკორპორირებულია სუბსიდიდობის, ანუ დამატებითობის პრინციპი. პრინციპი შემდეგნაირად განიმარტება: სუბსიდიდობა, ანუ დამატებითობა გულისხმობს, რომ დიდი სოციალური ერთეული (სახელმწიფო) ავსებს შედარებით მცირე სოციალურ ერთეულს (ტერიტორიული ერთეული) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მცირე ერთეულს არ შეუძლია დაეყრდნოს თავის საკუთარ რესურსს.

სოციალური პოლიტიკის კონტექსტში, სუბსიდიდობის პრინციპი შემდეგნაირად ითარგმნება: სოციალური მომსახურების მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხდება უპირატესად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივ დონეზე ამგვარი ორგანიზაცია არ არსებობს, სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალური სერვისის მიწოდებას მოსახლეობისთვის. ანუ, სახელმწიფო, სოციალური მომსახურების კონტექსტში, წარმოადგენს დანამატს, რომელიც აკმაყოფილებს სოციალური მომსახურების მიწოდების მოთხოვნას, თუკი ამგვარი მოთხოვნა არ კმაყოფილდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. სოციალურ სფეროში სახელმწიფო ორგანოებს მომსახურების მიწოდებელი ორგანიზაციებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ფუნქცია აქვთ და არა სოციალური მომსახურების პირდაპირი მიწოდების.

ამ ძირითადი პრინციპის შესაბამისად, გერმანიის ფედერალური სოციალური დახმარების აქტის 93-ე მუხლი ადგენს, რომ ხელისუფლების ორგანოს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ეკრძალება სოციალური სერვისის მიწოდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსება, თუკი არსებობს ამგვარი სერვისის მიწოდებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ან შესაძლებელია ამგვარი ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს. გერმანიის სოციალური უსაფრთხოების კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან ეფექტურად შეავსონ არასამთავრობო ორგანიზაციები თანამშრომლობის გზით. ამ თანამშრომლობის

პროცესში, ხელისუფლების ორგანოები უნდა იცავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას პრიორიტეტების გამოკვეთის, სოციალური მომსახურების მიწოდების გზების განსაზღვრის სფეროში. თუმცა, ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილნი არიან აკონტროლონ სახელმწიფოს ფინანსური რესურსის მიზნობრივი განკარგვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ადგილობრივ დონეზე შექმნილია კომიტეტები სოციალური მომსახურების სხვადასხვა სფეროების მიხედვით, რომელთა მიზანია კონკრეტული ტიპის სოციალური მომსახურების მიწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ცენტრალურ დონეზე, სახელმწიფო ორგანოები კანონით ვალდებული არიან სოციალური მომსახურების საკითხების გადაწყვეტის პროცესში, ასევე სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცესში ჩართონ სოციალური მომსახურების მიწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები.

**საკონკურსო განაცხადი**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**დამატებითი ინფორმაცია** – გაზეთი „24 საათი“, 17 ივლისი, 2007

<http://www.civilin.org/welfare>